ნათელა ხაზარაძე
სსიპ ავთანდილ დეკანოიძის ქ. ქუთაისის #32 საჯარო სკოლია
გაკვეთილის თემა: ბრბოს ფსიქოლოგია და „მოკვეთილი“ პიროვნება
ქართული ენა და ლიტერატურა
მე-12 კლასი

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეებმა შეძლონ ნაწარმოების მთავარი სათქმელის ამოცნობა და ავტორის პოზიციის განსაზღვრა. შეძლონ განზოგადება იმისა თუ როგორ მოქმედებს კულტურული, სოციალური და ისტორიული ფასეულობები პრობლემის არსის გაგებასა და გადაჭრაზე.

მედიაწიგნიერების მიზნები:

1. მედიარესურსის კრიტიკული ანალიზი და სინამდვილის რეპრეზენტაციის შეფასება.
2. მედიის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში სხვადასხვა პერსპექტივისა და ხედვის იდენტიფიცირება, ანალიზი და განხილვა.

ესგ-სთან შესაბამისობა:

ზეპირმეტყველება:

ქართ.XII.3 მოსწავლეს შეუძლია სასწავლო პროექტის პრეზენტაციის შესაბამისი ხერხების ამოცნობა და გამოყენება.

კითხვა:

ქართ.XII.6 მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ტექსტში ასახული ფასეულობებისა და შეხედულებების ერთმანეთთან შედარება.

წერა:

ქართ:XII. 13 მოსწავლეს შეუძლია მხატვრული ნაწარმოების ანალიზის დაწერა.

წინარე ცოდნა:

მოსწავლეებს წინა კლასებში შესწავლილი აქვთ: გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხე“, მიხეილ ჯავახიშვილის“ ეშმაკის ქვა“, ვაჟა ფშაველას „ სტუმარ -მასპინძელი“ და მუშაობენ ჯემალ ქარჩხაძის „იგი-ზე“.

კედელზე გაკრულია ლექსიკონი იმ ძირითადი სიტყვებისა, რომლებიც შეხვდებათ მედიატექსტზე მუშაობისას.

ტერმინი	განმარტება
ფსიქოლოგია	მეცნიერება ადამიანის ფსიქიკური მოქმედების კანონზომიერების განვითარებისა და ფორმების შესახებ
ბრბო	1.ადამიანთა უწესრიგო ხროვა 2.ადამიანთა ჯგუფი, რომელთა ქცევაც დამყარებულია ინსტინქტურ იმპულსებზე.
იმპულსი	შინაგანი მისწრაფება -ბიძგი, რაც იწვევს რაიმე მოქმედების შესრულებას.
მრისხანება	ძლიერი წყრომა, სისასტიკე
დეივინდუალიზაცია	ინდივიდის მიერ თავისი იდენტობის დაკარგვა და მასის წევრად ქცევა
წინამძღოლი, ლიდერი	მეთაური, ხელმძღვანელი
აგრესია	შეტევა,თავდასხმა

კლასი წინასწარ დაყოფილია 4 ჯგუფად, თითოეულ ჯგუფს ურიგდება 2 ტექსტი, ყველა ჯგუფს ურიგდება ადაპტირებული ტექსტი გუსტავ ლე ბონის წიგნიდან „ბრბოს ფსიქოლოგია“.

1 ჯგუფს - გიორგი ლეონიძის : „მარიტა“(თავი მე-3. აქედან „ცეცხლმოკიდებული სოფლის მეუფროსე ციციკორე თავზე ცივ წყალს ისხამდა” აქამდე: „მარიტა ზეზეულად დადნა... გადავიდა ეთერის ქვეყანაში!“)

2 ჯგუფს - მიხეილ ჯავახიშვილის „ეშმაკის ქვა“ (აქედან: „ჩვენვე უნდა გავუსწორდეთ ჩვენვე! აქამდე: „ერთმანეთს თვალს არიდებდნენ, რადგან ერთმანეთისა რცხვენოდათ“)

3 ჯგუფს - ვაჟა ფშაველას „სტუმარ- მასპინძელი“ (მე-6 მე-7 თავი)

4 ჯგუფს - ჯემალ ქარჩხაძის „იგი“ (აქედან: „გამოქვაბულში სიჩუმე იდგა..... იგიმ იცოდა, რომ ასეთ ღონიერ ბელადს კეტით ვერ გაუმკლავდებოდა. „ბელადმა ქვის ბელადი გამოართვა იგის..... შებმას აზრი არ ქონდა: ასეთი ბელადის დანახვაზე ძლიერი ნადირიც კი დამფრთხალი გარბის.” ბოლო ნაწილიდან)

აქტივობა: 1 - მასწავლებელი სვამს კითხვებს და გონებრივი იერიშით ავსებს სქემას.

კითხვები	სავარაუდო პასუხები
რას ნიშნავს თქვენთვის ბრბო?	ბოროტი სურვილებით აღსავსე გამძვინვარებულ მასას, რომელიც ვიღაცას ან რაღაცას ანადგურებს.
ვინ შეიძლება გახდეს ბრბოს წევრი?	ნებისმიერი ადამიანი, უფრო მეტად კი ის, რომელიც საზოგადოებაში ნაკლებად თვითრეალიზებულია და სურს თავი წარმოაჩინოს სრულუფლებიან წევრად. ვინც იოლად ექცევა სხვისი გავლენის ქვეშ.
ვინ მართავს ბრბოს?	ადამიანი, რომელიც თავის თავზე იღებს პრობლემის გადაჭრას და პასუხისმგებლობას ბოლომდე მიიყვანოს საქმე.
რა თვისებებს ავლენს ბრბო?	დაუნდობლობას, სისასტიკეს, მრისხანებას, ბოროტებას.
რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს ბრბოს ქმედება?	მცირე ხანს, მას შემდეგ რაც ემოცია დაცხრება და ჩათვლიან, რომ მიზანს მიაღწიეს.

აქტივობა 2 - მას შემდეგ, რაც მოსწავლეები წარმოადგენენ თავიანთ მოსაზრებას ზოგადად ბრბოს შესახებ, მასწავლებელი ჯგუფებს სთხოვს ლიტერატურულ ტექსტებზე დაყრდნობით იმსჯელონ ბრბოს ქცევის მოტივზე და დაახასიათონ ნაწარმოების მთავარი მოქმედი პერსონაჟი, რისთვისაც გამოიყენება სქემა.

რა თვისებებით გამოირჩევა პერსონაჟი?	**რას ამბობს პერსონაჟი ყველაზე დაძაბულ სიტუაციაში?** ....
რას განიცდის, როცა თავად მოქმედებს ან მასზე მოქმედებენ?	**რა არის პერსონაჟის ყველაზე გამორჩეული მახასიათებელი?** ....

როგორ ახასიათებს სხვა პერსონაჟი ან ავტორი?	**დაახასიათეთ, თქვენ რა თვისებები დაინახეთ პერსონაჟში ?** ....

მუშაობის დასრულების შემდეგ ჯგუფები აკეთებენ პრეზენტაციას. მსჯელობენ ბრბოსა და პერსონაჟთა მახასიათებელ თვისებებზე. მოცემული სქემა დაახლოებით ასე გამოიყურება:

ვაჟა ფშაველას „სტუმარ - მასპინძელი“

რა თვისებებით გამოირჩევა პერსონაჟი? ზვიადაური არის: მტკიცე, უშიშარი პიროვნება	**რას ამბობს პერსონაჟი ყველაზე დაძაბულ სიტუაციაში?** „ძაღლ იყოს თქვენი მკვდრისადა“
რას განიცდის, როცა თავად მოქმედებს ან მასზე მოქმედებენ? ზვიადაური ბრაზობს, რადგან მტრების ხელში ჩავარდა და არა აქვს თავის დაცვის საშუალება.	**რა არის პერსონაჟის ყველაზე გამორჩეული მახასიათებელი?** სიამაყე და უდრეკელობა
როგორ ახასიათებს სხვა პერსონაჟი ან ავტორი? ავტორი: „ბეწვს იშლია ბრაზმორეული, როგორაც ვეფხვი თმასაო“ „რა მოსდრეკს წარბდარრუბლულსა, ქედჩაჟანგებულ მთასაო“ პერსონაჟები: „ ერთი უყურეთ ძაღლასაო“ „ კარგი ვაჟკაცი ყოფილა“	**დაახასიათეთ, თქვენ რა თვისებები დაინახეთ პერსონაჟში ?** ზვიადაური არის უდიდესი ნებისყოფისა და გამძლეობის მქონე ვაჟკაცი, რომელიც ბოლომდე ინარჩუნებს სულიერ სიმტკიცესა დაგამბედაობას, კლავენ მაგრამ მაინც არ იდრიკება.

აქტივობა 3 - მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს კითხვებს, რათა შეაჯამოს მოსწავლეთა ნააზრევი.

კითხვები	**სავარაუდო პასუხები**
როგორ გარდაიქმნა ხალხი ბრბოდ?	მოხდა ის, რაც ზოგადად მიუღებელი აღმოჩნდა ადამიანთა გარკვეული ჯგუფისათვის - ისინი წინამძღოლის ნებას დაემორჩილნენ, დაკარგეს ინდივიდუალურობა, განსჯის უნარი და ბრმად დაემორჩილნენ მის მოქმედებას.
რა აერთიანებს ბრბოს ყველა წევრს?	სამაგიეროს გადახდის სურვილი.
როგორ გადაიქცა პიროვნება ბრბოს ნაწილად?	აყვა საერთო აღტკინებას, მასაში მოხვედრილმა ვეღარ იპოვა უკან დასახევი გზა და ინსტინქტურად დაემორჩილა ბრბოს ნებას.

აქტივობა 4 - კითხვებზე პასუხის შემდეგ მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს წაიკითხონ ადაპტირებული ტექსტი გუსტავ ლე ბონის წიგნიდან „ ბრბოს ფსიქოლოგია“ - და ამონარიდებს შეუსაბამონ შესაბამისი ციტატები ზემოთ მითითებული ლიტერატურული ტექსტებიდან.

სავარაუდო სქემა დაახლოებით ასე გამოიყურება:

ამონარიდი ფსიქოლოგის ტექსტიდან	**შესაბამისი ადგილი ტექსტიდან**
„ბრბოში ცნობიერი პიროვნება ქრება“	„ ყველაზე წინ დედაკაცები მირბოდნენ, ხალხი რიყეს ჭიანჭველასავით მოედო, მერე ყველანი გაიშალნენ და ქვებს დაუწყეს აკრეფა“
„ბრბოს ქმედებისათვის საჭიროა რაიმე გამომწვევი ქმედება“	„მირონი დააქციეს, თალახში შერიეს, ქვეყანა შეგვიგინეს“. „იგი ისეთი არ არის, როგორიც არიან სხვები: იგიმ რაღაც იცის ისეთი, რაც სხვებმა არ იციან“
„პიროვნება იზოლირებულ მდგომარეობაში შეიძლება იყოს კულტურული ადამიანი, ბრბოში კი ბარბაროსად გადაიქცევა“	„ანგელოზი მოდის, ანგელოზი, ჩვენი ანგელოზ , მფარველი და მშველელი“. „სოფიოს ერთი ქვა ეჭირა, შორიდან მაღლა

	ასწია ხელი, ქვევით გაექანა, ხალხში შეიჭრა და მიიმალა“
„ბრბოს ყოველთვის ყავს წინამძღოლი, რომელსაც ყველა ინდივიდი ემორჩილება“	„ციციკორემ თავისი ბოღმა -ვაება წამოცალა, თავისი დაიჟინა და გაიტანა კიდეც“ „როცა ცა დღის თვალს გაახელს და ქვეყნიერებას სიბნელეს გადააცლის, იგი ავა მაღალ ქარაფზე და დიდი დაძინების ხახაში გადაეშვება“
„ბრბო შეიძლება იყოს დანაშაულებრივი კანონის თვალსაზრისით, მაგრამ არა თვალსაზრისით ანუ შეხედულებებით“	„თემს რაც სწადია მას იზამს, თავის თემობის წესითა“ „ ასე მოჰყავდათ სოფლის წამებული, მთელი სოფელი მისი ამალა გამხდარიყო, მაგრამ აქედან არც ერთს არ ებრალებოდა მარიტა“

აქტივობა 6 - ტექსტების გაანალიზების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ნაწყვეტს თენგის აბულაძის ფილმიდან „ნატვრის ხე“ https://www.youtube.com/watch?v=12HeOsSZ47g დრო 10 წთ და 02 წამი და სთხოვს დააკვირდნენ პიროვნებისა და ბრბოს ქცევას, პერსონაჟთა მეტყველებას, ბუნების სურათს და მუსიკას და ჩანაწერი გააკეთონ ცხრილში.

დასამახსოვრებლი კადრი	ვირზე უკუღმა შესმულ მარიტას დაატარებენ სოფლის ორღობეებში, ლანძღავენ და ესვრიან ტალახს.
პერსონაჟთა ქცევა	ზოგიერთი ლანძღავს,ტალახს ესვრის, ზოგიერთი ექომაგება მხოლოდ სიტყვით, თუმცა ვერ ბედავენ გამოქომაგებას ქცევით.
ბრბოს ქმედება	განრისხებული უკან მიჰყვება “დამნაშავე“ მარიტას.
ბუნების სურათი	ჭექა-ქუხილი, საშინელი წვიმა, ნაცრისფერი დღე
მუსიკა	არანაირი მუსიკა, შიშისმომგვრელი სიჩუმე, მხოლოდ ნაწვიმარ გუბეებში ფეხის „ტყაპატყუპის“ ხმა.

აქტივობა 7 - მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს მინი დისკუსიას.

სავარაუდო საკითხები:

- იმ განცდაზე, რაც დაეუფლათ ნაწყვეტის ჩვენებისას.
- უკავშირდება თუ არა განხილული ტექსტები და ნაწყვეტი ერთმანეთს.
- ტექსტებში ასახული ფაქტები მწერლების მოსაზრება და ფანტაზიაა თუ შეიძლება რეალურ ცხოვრებაშიც შეგვხვდეს.
- ვინ არის სამიზნე აუდიტორია თითოეული ავტორისათვის.
- რას განიცდიდით, როცა პერსონაჟთა და ბრბოს დახასიათება გიწევდათ.

დისკუსიის დასრულების შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გადახედონ თავიანთ ნამუშევრებს და ერთი წინადადებით შეაფასონ გაკვეთილი.

სავარაუდო პასუხები:

- ბრბოს ქმედება საშიშია საზოგადოების განვითარებისათვის.
- ბრბოს ფსიქოლოგია ამოუცნობი და უმართავია.
- ნებისმიერი კულტურული ინდივიდი შეიძლება გახდეს ბრბოს წევრი -ბარბაროსი.
- ბრბოს ქმედება დანაშაულია.

აქტივობა 8- საშინაო დავალება: ესე თემაზე - ბრბოს ქმედების შედეგი პიროვნების ცხოვრებაზე.

ბრბოს ფსიქოლოგია

გუსტავ ლე ბონი „ბრბოს ფსიქოლოგია“

ბრბო ყოველთვის დიდ როლს ასრულებს ხალხების ცხოვრებაში, სიტყვაში „ბრბო“ იგულისხმება ინდივიდების შეკრება, განურჩევლად მათი ეროვნების, პროფესიის ან სქესისა. ბრბოში ცნობიერი პიროვნება ქრება და ბრბოდ წოდებული მთლიანობის შემდგენელი ყველა ერთეულის გრძნობები და იდეები იძენს ერთსა და იმავე მიმართულებას, წარმოიქმნება კოლექტიური სურვილი, რომელსაც აქვს დროებითი ხასიათი და ძალიან განსაზღვრული თვისებები. შეკრება გადაიქცევა ორგანიზებულ ან ზეშთაგონებულ ბრბოდ, რომელიც წარმოადგენს ერთიან არსებას და ექვემდებარება ბრბოს სულიერი ერთიანობის კანონს. ბევრი ინდივიდის ერთად შემთხვევით ყოფნის ერთი ფაქტი საკმარისი არ არის იმისათვის, რომ მიიღონ ორგანიზებული ბრბოს ხასიათი, ამისათვის საჭიროა რაიმე გამომწვევი მოვლენა. ბრბოს დანაშაულს შეადგენს მხოლოდ მისი ფლიქოლოგიის კერძო შემთხვევები .

ბრბოს არასოდეს შეუძლია შეასრულოს ისეთი ქმედებები, რომლებიც ამაღლებულ გონებას მოითხოვს. ბრბოში შეიძლება ხდებოდეს არა ჭკუის, არამედ სისულელის დაგროვება და მას შეუძლია დამანგრეველი როლის თამაში. ბრბოში ინდივიდი იძენს დაუმარცხებელი ძალის შეგრძნებას, მისთვის ცნება „შეუძლებელია“ არ არსებობს და იძენს ისეთ ინსტინქტს, რომელიც მარტო მყოფს არასოდეს ექნება. მას უქრება პასუხისმგებლობის გრძნობა, რომელიც ცალკეს აუცილებლად აქვს . ბრბოს მახასიათებელია გადამდებობა, იგი ჰიპნოზური მოვლენაა. ამ დროს ინდივიდს თავისი პირადი ინტერესები ადვილად მიაქვს კოლექტიური ინტერესების მსხვერპლად, ამას მხოლოდ მაშინ აკეთებს , როცა ბრბოს ნაწილია. ზეშთაგონებული ბრბოს შემადგენელი ინდივიდი ვერ აცნობიერებს თავის საქციელს, ცნობიერი პიროვნება ქრება, ჭარბობს არაცნობიერი პიროვნება , რომელიც მიისწრაფის სასწრაფოდ მოიყვანოს მოქმედებაში შთაგონებული იდეები, რადგან აღარ ეკუთვნის თავის თავს, იზოლირებულ მდგმარეობაში შეიძლება იყოს კულტურული ადამიანი, ბრბოში ის ბარბაროსად გადაიქცევა. ბრბოს მახასიათებელი თვისებებია: იმპულსურობა, გაღიზიანებლობა, გააზრების უუნარობა, მსჯელობისა და კრიტიკის უნარის არარსებობა, გადამეტებული მგრძნობელობა და მრისახება.

ბრბოს ყოვეთვის ყავს წინანძღოლი, რომელსაც ბრბოს ყველა ინდივიდი ემორჩილება. ბრბოში ბელადი მხოლოდ წინამძღოლია, მისი როლი მნიშვნელოვანია, მისი ნება არის ბირთვი , რომლის გარშემო ერთიანდება აზრები, თუმცა წინამძღოლი ხშირ სმთხვევაში არ მიეკუთვნება მოაზროვნეთა რიცხვს, ისინი მოქმედების ადამიანები არიან. წინამძღოლები ძირითადად ფსიქიკურად გაუწონასწორებელი სიგჟის ზღვარზე მყოფი ნახევრად შეშლილი ადამიანები არიან, ხელმძღვანელის ძალაუფლება მეტად დესპოტურია, მაგრამ სწორედ ეს დესპოტიზმი აიძულებს მათადმი მორჩილებას.

ბრბოს ორი სახეობა არსებობს: ა) არაერთგვარი ბრბო (პროფესიული და გონებრივი განვითარებით აბსოლუტურად განსხვავებული ინდივიდები). ბ) ერთგვაროვანი ბრბო (გარკვეული სექტები კლასები და კასტები).

ბრბო შეიძლება იყოს დანაშაულებრივი კანონის თვალსაზრისით, მაგრამ არა თვალსაზრისით ანუ შეხედულებებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.ქართული ენა და ლიტერატურა მე-12 კლასის სახელმძღვანელო ნ.მაღლაკელიძე. ნ.ღონღაძე, დ.კვაჭანტირაძე. თ.ღონღაძე.თ.ცხადაია გამომცემლობა „მერიდიანი“

2.ქართული ენა და ლიტერატურა მე-9 კლასის სახელმძღვანელო ნ.მაღლაკელიძე. ნ.ღონღაძე, დ.კვაჭანტირაძე. თ.ღონღაძე.თ.ცხადაია გამომცემლობა „მერიდიანი“

3.ქართული ენა და ლიტერატურა მე-11 კლასის სახელმძღვანელო ნ.მაღლაკელიძე. ნ.ღონღაძე, დ.კვაჭანტირაძე. თ.ღონღაძე.თ.ცხადაია გამომცემლობა „მერიდიანი“.

4.გუსტავ ლე ბონი „ბრბოს ფსიქოლოგია“- ადაპრირებული ტექსტი/ გამომცემლობა“მთაწმინდელი“ 2003 წელი

5.ქეგლ - თბილისი 1990წელი

6.უცხო სიტყვათა ლექსიკონი- თბილისი 1989 წელი გამომცემლობა „განათლება“

7. ნაწყვეტი ფილმიდან „ ნატვრის ხე“ მარიტას დასჯის ეპიზოდი:

https://www.youtube.com/watch?v=12HeOsSZ47g